1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია (Clinical Neuropsychology)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

მეცნიერების მაგისტრი კლინიკური ნეიროფსიქოლოგია'ში – MS in Clinical Neuropsychology.

3. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

4. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ენა: ქართული

5. სამაგისტრო პროგრამის მიზანი:

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ახალი დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას, კოგნიტურ და ემოციურ პროცესებს ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისა და დაზიანების შემთხვევაში.
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი პროფესიული ფსიქოლოგია. იგი იყენებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევების შედეგად ქცევის, შემეცნებითი და პიროვნულ-ემოციური სფეროს შეფასებისა და ინტერვენციისათვის ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.
კლინიკური ნეიროფსიქოლოგია მულტიდისციპლინარულ მეცნიერებათა დარგს მიეკუთვნება და მისი დაუფლებისათვის აუცილებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღებული ცოდნის და ჩვევების ინტეგრირება. კერძოდ, კლინიკური ნეიროფსიქოლოგის კვალიფიკაცია მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, პიროვნების ფსიქოლოგიაში, კლინიკური და ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის საკითხებში, ნევროლოგიაში, ფსიქოფიზიოლოგიაში, ფუნქციურ ნეიროანატომიაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორის თამარ გაგოშიძის ხელმძღვანელობით 1998 წლიდან საქართველოში პირველად დაიწყო კლინიკური

ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობით მაგისტრების მომზადება. შედგა მაგისტრის დიპლომის მქონე ნეიროფსიქოლოგების 5 გამოშვება, რომელთაგან ნაწილმა სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა. ისინი ამჟამად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან ნეიროფსიქოლოგიის დარგში, ნაწილი კი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა სკოლაში თუ სამედიცინო დაწესებულებაში. მათგან ხუთს აქვს მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

სამაგისტრო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში შექმნილია იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც შემუშავდა ჰიუსტონის კონფერენციაზე 1997 წელს კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით (Houston Conference on Specialty Education and Training in Clinical neuropsychology; Houston, 3-7 September, 1997). ამავე დროს, თსუ სამაგისტრო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში უფრო ფართო ხასიათისაა და მოიცავს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენას ბავშვის ნეიროფსიქოლოგიაში, განვითარების დარღვევებში, კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლების დაუფლებას.

პროგრამის ასეთი სტრუქტურა განპირობებულია საქართველოში დასაქმების ბაზრის სპეციფიკით; კერძოდ, სამუშაო დაკვეთა უფრო ხშირად მოითხოვს ფართო პროფილის ნეიროფსიქოლოგს, რომელიც შეძლებს როგორც მოზრდილის, ისე ბავშვის დიაგნოსტიკას, კონსულტაციას და რეაბილიტაციას არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ განათლების სფეროშიც. ასევე, მას ექნება კოგნიტური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების შესახებ ცოდნა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევები.

საქართველოს დასაქმების ბაზრის სიტუაციის გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაში ისეთი კურსებია, რაც მაგისტრს აძლევს საშუალებას გაღრმავებული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები შეიძინოს სკოლის ნეიროფსიქოლოგიის ან ბავშვის კლინიკური ფსიქოლოგიის დარგში. შესაბამისად, უფრო მეტი გამოცდილება მიიღოს განათლების ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში.

სამაგისტრო პროგრამის მიზანი: თეორიული ცოდნის შეძენა და სისტემატიზაცია ნეიროფსიქოლოგიის ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლინიკური, ბავშვის და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია; პრაქტიკული ჩვევების დაუფლება ბავშვის და მოზრდილის ნეიროფსიქოლოგიურ შეფასებაში, კონსულტაციაში, საგანმანათალებლო საჭიროებების განსაზღვრასა და რეაბილიტაციაში.

სამაგისტრო პროგრამის ამოცანებია:

ცოდნა:

- კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში;
- ბავშვის ნეიროფსიქოლოგიაში;
- ბავშვის კლინიკურ ფსიქოლოგიაში;
- სკოლის ნეიროფსიქოლოგიაში;
- ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში;
- კლინიკური ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგიაში;
- კოგნიტურ ნეიროფსიქოლოგიაში.

დიაგნოსტიკა და შეფასება:

- ბავშვების და მოზრდილების ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის დაგეგმვა და ჩატარება;
- ბავშვისა და მოზრდილების ინტელექტის, პიროვნების, ქცევისა და უნარების დიაგნოსტიკა;
- ბავშვების და მოზრდილების ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება და ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია;
- კლინიკური ინტერვიუ;
- პრობლემების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება;
- ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის ანგარიშის დაწერა.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია:

- მშობლების კონსულტაცია ბავშვის ქვევისა და სწავლის პრობლემებთან დაკავშირებით;
- მასწავლებლების კონსულტაცია ბავშვის სწავლებისა და ქცევის მართვის პრობლემებთან დაკავშირებით;
- მასწავლებლების კონსულტაცია კომუნიკაციისა და ქცევის დარღვევების მქონე მოსწავლეების ინკლუზიის თაობაზე;
- ქრონიკული ნერვული დაავადების მქონე პაციენტის ოჯახის კონსულტაციის პრინციპების ცოდნა და გამოყენება.

კვლევა:

- კლინიკური ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკული ჩვევების შეძენა;
- კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის პარადიგმების გამოყენება კვლევაში და მათი ექსპერიმენტული შემოწმება;

- კვლევის შედეგების ანალიზი, განზოგადება და დასკვნის გაკეთება.

ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია

- ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დაგეგმვა პაციენტის მონაცემების საფუძველზე.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პირებმა, ვისაც აქვს:

- ✓ ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში.

- ✓ კრედიტი შემდეგ კურსებში:

- კოგნიტური ფსიქოლოგია
- ნეიროფსიქოლოგია ან ბავშვის განვითარების დარღვევები
- სტატისტიკური მეთოდები.

- ✓ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

სამაგისტრო პროგრამაში ჩასარიცხად აუცილებელია:

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულა;
- სამოტივაციო წერილი;
- წერითი გამოცდა ნეიროფსიქოლოგიაში.

7. სწავლის შედეგი.

დარგობრივი კომპეტენციები:

- ✓ *ცოდნა და გაცნობიერება:*

ცოდნა ნეიროფსიქოლოგიის, ბავშვის კლინიკურ ფსიქოლოგიის/სკოლის ნეიროფსიქოლოგიისა და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის დარგში:

- აღქმის, ყურადღების, მეტყველების, მეხსიერების, აზროვნების, ქცევის, ემოციური სფეროს ნორმალური ფუნქციონირების და დარღვევის კოგნიტურ-ნეიროფსიქოლოგიური მოდელების ცოდნა;
- მოზრდილის და ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანების დროს ფსიქიკური ფუნქციების და ქცევის დარღვევის კანონზომიერების ცოდნა;
- ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მეთოდოლოგიის და პრინციპების ცოდნა;
- ფსიქიკური ფუნქციების აღდგენის თეორიების ცოდნა;
- ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მოდელების ცოდნა;
- ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სტრატეგიების და მეთოდების ცოდნა;
- რეკომენდაციების მიწოდების პრინციპების ცოდნა ექიმისთვის, მშობლისთვის, მასწავლებლისთვის;
- განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების სწავლებისა და ქცევის მართვის პრინციპების ცოდნა ჯგუფში.

✓ *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:*

- ანამნეზის შეკრება;
- პაციენტის, მშობლების ინტერვიურება;
- ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
- ნეიროფსიქოლოგიური ტესიტრება და შედეგების დამუშავება;
- ტესტირების შედეგების ინტერპრეტაცია და დიაგნოზის განსაზღვრა;
- ნეიროფსიქოლოგიური დასკვნის დაწერა მომართვის სხვადასხვა წყაროსთვის;
- რეაბილიტაციის მიზნების განსაზღვრა;
- კონკრეტული პრობლემის მიხედვით რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება;
- კონკრეტული პრობლემის მიხედვით რეაბილიტაციის მეთოდების განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო სჭიროებების განსზღვრა;
- ბავშვის სწავლისა და ქცევის მართვის პრობლემებზე მშობლისა და მასწავლებლის კონსულტაცია.

ზოგადი /ტრანსფერული კომპეტენციები:

- ცოდნის განახლების, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის უნარი;
- ანალიტიკური აზროვნება და არგუმენტაცია;
- გამართულად წერისა და ეფექტურად საუბრის უნარი;
- მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, პრეზენტაციის მომზადებისათვის ელექტრონული საშუალებების გამოყენების.

დასკვნის უნარი:

- ✓ ინფორმაციის შედარებითი ანალიზი,
- ✓ არგუმენტაციისა და კრიტიკული ანალიზის უნარი,
- ✓ ფაქტებისა და იდეების სისტემატიზაცია, ანალიზი და შეფასება,
- ✓ ჰიპოთეზის ფორმულირება.

- **კომუნიკაციის უნარი:**
  - ✓ მშობლიურ ენაზე საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევითი ანგარიშის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება;
  - ✓ დისკუსიის წარმართვა და პოლემიკის კორექტულად წარმოების ჩვევები;
  - ✓ ელექტრონულ საძიებო სისტემებში საჭირო ინფორმაციის მოძიება;
  - ✓ კვლევის შედეგების ეფექტურად წარმოდგენა და პრეზენტაცია;
  - ✓ ჯგუფში მუშაობა და თანამშრომლობა;
  - ✓ დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარი;
  - ✓ აქტიური მოსმენის უნარი;
  - ✓ ემპათია.

- **სწავლის უნარი:**
  - ✓ დამოუკიდებელი მუშაობა და დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება;
  - ✓ დროის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი;
  - ✓ დამოუკიდებლად მასალის ორგანიზება და სტრუქტურირება;

- ✓ გამოცდილებისა და უკვე დასწავლილის ახალ ცოდნასთან დაკავშირება;
- ✓ სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება და ინტეგრირება.

- **ღირებულებები:**

✓ პროფესიული ეთიკის ცოდნა,
✓ ნეიროფსიქოლოგის საქმიანობის ეთიკური ნორმების დაცვა,
✓ პაციენტის უფლებების პატივისცემა,
✓ პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა,
✓ სტიგმისა და სეგრეგაციის საწინააღმდეგოდ პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ინკლუზიის იდეების დანერგვა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში გამოყენებული სწავლების ფორმებია:

- ლექცია
- სასემინარო მუშაობა: ინდივიდუალური და ჯგუფური
- პრაქტიკული მუშაობა სუპერვიზიით და დამოუკიდებლად.

გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება: პრობლემის/შემთხვევის დემონსტრაციისა და გარჩევის საფუძველზე;
- დისკუსიის მეთოდი;
- სიმულაცია: პაციენტთან ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით;
- თვალსაჩინოების გამოყენება: პრეზენტაციები, აუდიოვიზუალური მასალების გამოეყენება;

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება თსუ-ში დადგენილი და მიღებული შეფასების სისტემით.

განვლილი კურსის ათვისების დონის საბოლოო შეფასება შემდეგნაირად მოხდება: სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტების მიხედვით დაგროვილ ქულებს დაემატება საბოლოო წერით გამოცდაზე მიღებული ქულა. საბოლოო შეფასება გამოიყვანება შეფასების 7-ბალიანი სისტემით:

A _ უმაღლესი 91 _ 100 ქულა
B _ ძალიან კარგი 81 _ 90 ქულა
C _ კარგი 71 _ 80 ქულა
D _ დამაკმაყოფილებელი 61 _ 70 ქულა
E _ საკმარისი 51 _ 60 ქულა
Fx _ ჩაჭრილი
(ექვემდებარება გადაბარებას) 45 - 50 ქულა
_ ჩაჭრილი
(არ ექვემდებარება გადაბარებას) < 44 ქულა

კრედიტი მიენიჭება თუ გადალახავს 51 ქულას.

სამაგისტრო შრომა: კლინიკური ნეიროფსიქოლოგიური ექსპერიმენტული ან კორელაციური კვლევა. კვლევითი ნაშრომის შეფასება 100 ქულიანია. შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

კვლევითი ნაშრომის შეფასების სქემა

	შეფასების კრიტერიუმი	*ქულა*
1	*საკითხზე თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი*	*10*
2	*საკითხის დაყენება, ჰიპოთეზის, კვლევის მიზნისა და ამოცანების ფორმულირება*	*10*
3	*ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვა და დიზაინი*	*10*
4	*შედეგების ანალიზი ამოცანებისა და კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით*	*10*

5 სტატისტიკური მეთოდების ცოდნა და ადეკვატური გამოყენება მონაცემთა დამუშავებისათვის 10
6 მონაცემების თეორიული ინტერპრეტაციის უნარი და არსებულ კვლევებთან მიღებული შედგების მიმართება 10
7 დასკვნების შესაბამისობა კვლევის ჰიპოთეზასა და ამოცანებთან 10
8 ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება თვალსაჩინო საშუალებებით 10
9 ნაშრომის ენობრივ-გრამატიკული მხარე 10
10 კვლევის ორგანიზება, წარმართვა და მონაცემების შეგროვების აკურატულობა 10

სადიპლომო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუ სტუდენტი გადალახავს 61 ქულას.

10. სასწავლო გეგმა

სამაგიტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა შედგება კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის, ბავშვის ნეიროფსიქოლოგიისა და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის, ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის საბაზისო კურსებისაგან, ასევე სპეციფიკური კურსები სკოლის ნეიროფსიქოლოგიისა და ბავშვის კლინიკურ ფსიქოლოგიაში. მაგისტრანტმა უნდა გაიაროს სავალდებულო პრაქტიკული წვრთნა პროგრამაში მოწოდებული გეგმის მიხედვით, როტაციული პრინციპით. მე-4 სემესტრი მთლიანად ეთმობა კვლევას და პრაქტიკულ მუშაობას. იხ. სასწავლო გეგმის ცხრილი. დანართი 1.

11. პროგრამის ხელმძღვანელი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სრული **პროფესორი თამარ გაგოშიძე.**

იხ. დანართი 2.

12. დასაქმების სფეროები:

ნეიროფსიქოლოგიის დარგში კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა და წარმოება, ბავშვთა და მოზრდილთა ნეიროფსიქოლოგიური შეფასება, ოჯახის და ინდივიდუალური კონსულტაცია, რეაბილიტაციის დაგეგმვა და განხორციებელის პრინციპების ცოდნა.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ:

- სადოქტორო პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა;
- მუშაობის შესაძლებლობა დიაგნოსტიკურ ცენტრში, სომატურ, ფსიქიატრიულ და ნევროლოგიურ გამყოფილებაში, დღის ცენტრებში, სკოლაში, საბავშვო ბაღში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში, შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების არასამთავრობო ორგანიზაციებში, სოც. უზრუნველყოფის სისტემაში, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში.

13. დამატებითი ინფორმაცია: პროგრამაზე შესაძლებელია 8 მაგისტრის მიღება.

14. ინფორმაცია პროგრამის განხორციელების აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

მაგისტრანტები სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტში.

ინსტიტუტში ბავშვთა და მოზრდილთა კლინიკური ბაზაა. ინსტიტუტს აქვს ბიბლიოთეკა, სადაც შესაძლებელია ახალი ლიტერატურით, ჟურნალებით, ეელქტრონული წიგნებით, ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებით სარგებლობა.

ინსტიტუტში შესაძლებელია პრაქტიკული მეცადინეობა ბავშვებისა და მოზრდილების კონსულტაციასა და დიაგნოსტიკაში, ასევე სამაგისტრო კვლევისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:**ფსიქოლოგიის**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კლინიკური ნეიროფსიქოლოგია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **თამარ გაგოშიძე, სრული პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)													
პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 90 კრედიტი (ECTS) + სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში				საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკ	დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	

1	კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 1	5	15	30	3	65	-	12		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ, გაგოშიძე
2	ნევროლოგიის საფუძვლები	5	15	30	3	61	2+6	8		წინაპირობის გარეშე			ას.პროფ. ნ. კაპანაძე (მოწვეული)
3	ფსიქიატრიის საფუძვლები	5	15	30	3	57	2+6	12		წინაპირობის გარეშე			დოქტორი ა. ბეგიაშვილი (მოწვეული)
4	ქრონიკული ნერვული სნეულებების ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	5	15	30	2	62	2+4	10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი თ. ჭინჭარაული
5	ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია	5	15	30	3	65	-	12		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
6	სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალურ მეცნიერებებში	5	30	30	1	64	4	6		წინაპირობის გარეშე			ვ. კეჭაყმაძე (მოწვეული)
7	კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 2	5	15	30	3	65	-	12		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
8	ბავშვის კლინიკური ფსიქოლოგია	5	15	30	3	65	-	12		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
9	ბავშვის ნეიროფსიქოლოგია	5	15	30	2	68		10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი შ. მამუკაძე
10	ბავშვის ნევროლოგია	5	15	30	3	61	2+6	8		წინაპირობის გარეშე			ას. პროფესორი ნ. კაპანაძე (მოწვეული)
11	კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია	5	15	30	2	68	-	10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი თ. ჭინჭარაული
12	პრაქტიკუმი ნეიროფსიქოლოგიაში 1	5	-	86	3	30	-	6		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი შ. მამუკაძე

13	პრაქტიკუმი ნეიროფსიქოლოგიაში 2	5	-	86	3	30	-	6		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
14	აფაზიოლოგიის საფუძვლები	5	15	30	3	60	2+5	10		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
15	სპეციალური საგანმათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების პოლიტიკა და მოდელები	5	15	15	2	60	2+6	10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი თ. ჭინჭარაული
16	განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეთა კლასში ქცევის მართვის პრინციპები და პრაქტიკა	5	15	15	2	60	2+6	10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი თ. ჭინჭარაული
17	ბავშვის განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა და დახმარების პრინციპები აკადემიური ჩვევების ათვისებაში	5	15	30	2	60	2+6	10		წინაპირობის გარეშე			ასისტენტ-პროფესორი შ. მამუკაძე
18	კვლევითი სემინარი	5	-	3	2	70	-	8		წინაპირობის გარეშე			პროფ. თ. გაგოშიძე
19	სამაგისტრო ნაშრომი	30											პროფ. თ. გაგოშიძე

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი